

ზიგმუნდ ფროიდი

SIGMUND FREUD

ყოველდღიური

ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

Zur Psychopathologie des Alltagslebens

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2022

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ფსიქიკური აქტივობების განმაპირობებელ მიზეზთა კვლევას. ქმედებები, რომლებსაც ჩვენი გონება გააზრებულად თუ უნებლიედ ასრულებს, სინამდვილეში ქვეცნობიერის მიერ განხორციელებული იმპულსით არის განპირობებული. ყოველდღიური ცხოვრების ჩვეული პროცესები წარმოადგენს დათრგუნული დომინანტი მოტივების გამოხატულებას. ამიტომ, ჩვენ მიერ შესრულებულ ყოველ ქმედებას თავისი გამომწვევი მიზეზი აქვს და ის ვერ იქნება შემთხვევითი. განხორციელებული აქტების ესა თუ ის მიზეზი ჩვენს ქვეცნობიერშია და მიზეზთა ძიებაც მისი გამოკვლევით არის შესაძლებელი.

ავტორი: ზიგმუნდ ფროიდი
მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
რედაქტორი: დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირიკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4881-0

სარჩევი

| | |
|---|---------|
| რედაქტორის წინასიტყვაობა..... | 5 |
| ზიგმუნდ ფროიდი | |
| ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია | |
| საკუთარ სახელთა დავიწყება..... | 11 |
| უცხო სიტყვების დავიწყება..... | 20 |
| სახელებისა და სიტყვათშეთანხმებების დავიწყება..... | 28 |
| ბავშვობის მოგონებებისა და გადამფარავი მოგონებების შესახებ..... | 41 |
| მცდართქმა..... | 51 |
| მცდარკითხვა და მცდარწერა..... | 78 |
| განზრახვებისა და შთაბეჭდილებების დავიწყება..... | 88 |
| „შეცდომით“ შესრულებული ქმედებები..... | 113 |
| სიმპტომური და შემთხვევითი ქმედებები..... | 133 |
| შეცდომა-ცთომილებები..... | 147 |
| კომბინირებული ცთომილი ქმედებები..... | 155 |
| დეტერმინიზმი. შემთხვევითობის რწმენა და ცრურწმენა..... | 158 |
| გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები..... | 195-197 |

რედაქტორის წინასიტყვაობა

სიზმრების ფსიქოლოგიისადმი მრავალწლიანმა ინტერესმა შემდგომი სტიმული მიიღო ფროიდის წიგნში „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“, რომლის წინა შრომები ამ სფეროში უკვე ცნობილი იყო. ავითარებს რა იდეას, რომელსაც მისი მრავალი სტატია შეიცავს, განსაკუთრებით კი, მისი ნაშრომი „სიზმრების განმარტება“ (ვენა, 1900), ფროიდი სიზმრების მექანიზმის ანალიზსა და ინტერპრეტაციას იწყებს.

ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან ის ფუნდამენტურად არის განხილული ზემოხსენებულ ნაშრომში, მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ანალოგიური მექანიზმი ნორმალურ გონებაშიც არსებობს, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულ პროცესებში ვლინდება, როგორცაა, მაგალითად, სახელების დავიწყება, მცდართქმა და მცდარწერა და ყურადსაღები მოვლენების დავიწყება, რომლებიც უნდა გვახსოვდეს, გარკვეული მოტორული დარღვევები და აშკარად შემთხვევითი და უმიზნო ქმედებები, რომელთაგან არცერთია შემთხვევითი, რადგან ისინი წარმოადგენს დათრგუნული დომინანტი მოტივების გამოხატულებას. ჩვენს ფსიქიკურ ცხოვრებაში არაფერია თვითნებური. ის არ შეიცავს შემთხვევით ელემენტებს, მთელი ფსიქიკური აქტივობა კი ქვეცნობიერი მდგომარეობით არის განპირობებული.

მოტივები, რომლებიც ამა თუ იმ ფსიქიკური მდგომარეობის დათრგუნვას იწვევს, უნდა ვეძებოთ მორალურ აღზრდაში, სოციალურ გარემოში ან თავად მდგომარეობის ავადმყოფურ ბუნებაში. ეს დათრგუნული მდგომარეობები უმოქმედოდ არ რჩება, ისინი ცნობიერების ზღურბლს სცდება. გამოვლინებისას ასეთი დათრგუნული მდგომარეობები ხელს უშლის ცნობიერების პროცესებს და, შესაბამისად, შედეგად მიღებული აქტივობა არის „კომპრომისი“ ორ დაპირისპირებულ მდგომარეობას შორის. მაგალითად, ნაცნობი სახელის დავიწყება და გონებაში მრავალი სახელის გაჩენა, რომლებიც მაშინვე უარიყოფა – ეს ჩვეულებრივი მოვლენა – შემთხვევითი კი არ არის, არამედ სავესეა მნიშვნელობით. ფროიდი ვრცლად აანალიზებს ამ ტიპის რამდენიმე შემთხვევას და აჩვენებს, რომ იმ დროს, როდესაც სახელის დავიწყება ხდება, გონებას აქვს გარკვეული მდგომარეობები, რომლებსაც ჩვენ ნებაყოფლობით ვთრგუნავთ მათი არასასიამოვნო ბუნების გამო. როდესაც სახელი ამ მდგომარეობებთან ერთად ითრგუნება, ეს გამოწვეულია ასეთ მდგომარეობებსა და განსახილველ სახელს შორის ასოციაციით. უფრო მეტიც, სახელები, რომლებიც გონებაში ჩნდება დავიწყებული სახელის ძიებისას, შემთხვევითობა არ არის, ისინი წარმოადგენს „კომპრომისს“ იმას შორის, რის გახსენებასაც ვცდილობთ და იმას შორის, რაც ითრგუნება. ისინი თითოეული მათგანის ელემენტებს შეიცავს.

ამ პროცესის საფუძვლად მდებარე პირობები შემდეგია: პირველი, გარკვეული მიდრეკილება სახელის დავიწყებისკენ. მეორე, მცირე ხნის წინ განხორციელებული დათრგუნვის პროცესი.

მესამე, ასოციაციის არსებობა დათრგუნულ მდგომარეობასა და სახელს შორის.

ანალოგიურად შეგვიძლია გავადევნოთ თვალი მნიშვნელოვანი მოვლენების დავიწყებას დათრგუნვის ნებაყოფლობით ძალისხმევამდე, რადგან ყველა ადამიანს გარკვეული

ყოველდღიური
ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

თავი პირველი

საკუთარ სახელთა დავიწყება

1898 წელს ჟურნალში „Monatsschrift für Psychiatrie und Neurologie“ გამოვაქვეყნე მცირე სტატია სათაურით „გულმაღი-წყობის ფსიქიკური მექანიზმის საკითხისათვის“, რომლის შინაარსს აქ ვიმეორებ და განვიხილავ როგორც საწყის პუნქტს შემდგომი მსჯელობისთვის. მასში მე საკუთარი ცხოვრებიდან აღებულ მაგალითზე დავუქვემდებარე ფსიქოლოგიურ ანალიზს უკიდურესად გავრცელებული მოვლენა საკუთარ სახელთა დროებითი დავიწყებისა, და მივედი დასკვნამდე, რომ ეს საკმაოდ ჩვეულებრივი და პრაქტიკულად არცთუ მნიშვნელოვანი სახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის – გახსენების უნარის – დარღვევისა, უშვებს განმარტებას, რომელიც საკმაოდ სცდება ჩვეულებრივ შეხედულებათა ფარგლებს.

თუ მეტისმეტად არ ვცდები, ფსიქოლოგი, რომელსაც დაუსვამენ კითხვას, რით აიხსნება ესოდენ გავრცელებული უუნარობა, გაიხსენო არსებითად ნაცნობი სახელი, უმაღ იმაზე უბრალო მინიშნებით შემოიფარგლება, რომ საკუთარი სახელები ზოგადად უფრო იოლად გვისხლტება მეხსიერებიდან, ვიდრე ჩვენი მეხსიერების ნებისმიერი სხვა შემადგენელი. ის მოიტანს რიგს

მეტად ან ნაკლებად სანდო ვარაუდებისა, რომლებიც საკუთარი სახელების ამ თავისებურ უპირატესობას ასაბუთებს. მაგრამ აზრი სხვა მიზეზობრივი დამოკიდებულების არსებობის შესახებ მისთვის უცხო იქნება.

პირადად ჩემთვის მოცემული ფენომენის მეტი ყურადღებით შესწავლის საბაბი გახდა ცალკეული შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა ყოველთვის არ იყო სახეზე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში საკმარისი სიცხადით ვლინდებოდა. ეს ხდებოდა სახელდობრ იმ შემთხვევებში, როდესაც დავიწყებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მცდარ გახსენებას. სუბიექტს, რომელიც მესხიერებიდან ამოვარდნილი სახელის გახსენებას ცდილობს, თავში განსხვავებული სახელები მოსდის, სახელ-ჩამნაცვლებლები, ხოლო თუ ამ სახელების გაცნობიერება მყისიერად ხდება როგორც მცდარებისა, ისინი მაინც ჯიუტად ბრუნდება აკვიატების სახით. მთელი პროცესი, რომელსაც საძიებელი სახელის აღდგენასთან უნდა მივყავდეთ, თითქოს გადაჩოჩებულია და ერთგვარ ჩანაცვლებასთან მივყავართ.

ვაკვირდები რა ამ მოვლენას, იქიდან გამოვდივარ, რომ გადაჩოჩება სულაც არ წარმოადგენს ფსიქიკური თვითნებობის აქტს, რომ ის, პირიქით, ხორციელდება კანონზომიერ და გამოთვლას დაქვემდებარებულ ფარგლებში. სხვა სიტყვებით, მე ვვარაუდობ, რომ ჩამნაცვლებელი სახელი ან სახელები ერთგვარ, აღმოჩენად დამოკიდებულებაშია საძიებელ სიტყვასთან, და ვფიქრობ, რომ თუ ამ დამოკიდებულების მიგნება მოხერხდება, სახელთა დავიწყების ფენომენსაც მოეფინება შუქი.

იმ მაგალითში, რომელზეც ჩემი ანალიზი ავაგე ზემოაღნიშნულ სტატიაში, დავიწყებული იყო სახელი მხატვრისა, რომელმაც ცნობილი ფრესკები შექმნა იტალიური ქალაქის ორგიეტოს ტაძარში. ნაცვლად საძიებელი სახელისა – „სინიორელი“ – ამეკვიატა ორი სხვა – „ბოტიჩელი“ და „ბოლტრაფიო“; ეს ჩამნაცვლებელი სახელები მყისვე უარგყავი როგორც მცდარი, ხოლო როდესაც მე ნამდვილი სახელი მითხრეს, უმაღლ და მერ-

გამომცემლობა „აპტი“-ს მიერ გამომცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ
ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
13. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
14. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების
ფსიქოპათოლოგია
15. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
16. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
17. ბერტრან რასელი – ესეები
18. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
19. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
20. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
21. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
23. ერის ფრომი – ადამიანის სული
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
27. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
28. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
29. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები
30. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
31. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
32. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
33. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
34. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება
41. ოშო – საწყისთა საწყისი
42. ოშო – სიყვარულის ძალა
43. ოშო – რა არის მედიტაცია?
44. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
45. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
46. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქონალიზი და არაცნობიერი
47. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
48. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

49. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების
პრინციპების შესახებ
50. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
51. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
52. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
53. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ,
როცა „მე ვარ“
54. გ. გურჯიევი – ბელგებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი I-IV
55. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
56. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
57. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
58. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
59. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
60. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
61. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი
62. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
63. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
64. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
65. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
66. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
67. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
68. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი